ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“

სხდომის ოქმი №5

ლანჩხუთი **18.03.2022**

წელი

12.00 საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე – **მაკა მშვიდობაძე.**

სხდომას ესწრებოდნენ: ჯუმბერ ბლაგიძე, გოჩა ჯანაშია.

ფრაქციის წევრები სოლიდარობას უცხადებენ უკრაინას, მიმდინარე მოვლენების გამო და წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს დაღუპულთა ხსოვნას.

მოწვეული პირები: ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი - ოთარ ცანავა და ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ დირექტორი- ნატო მენაღარიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ, მაკა მშვიდობაძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და ფრაქციის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების“ მიერ 2017-2021 წ.წ. გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებელი: მაკა მშვიდობაძე/

2. ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ მიერ 2017-2021 წ.წ. გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებელი: მაკა მშვიდობაძე/

3. სხვადასხვა:

1. დღის წესრიგის პირველ საკითხზე -ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების“ მიერ 2017-2021 წ.წ. გაწეული მუშაობის ანგარიში სხდომას წარუდგინა დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა - ოთარ ცანავამ. ფრაქციის წევრი ჯუმბერ ბლაგიძე დაინტერესდა რეორგანიზაციის საკითხით, როგორც ოთარ ცანავამ განმარტა, ჯერ არარის ცნობილი მათთვის რეორგანიზაციის შედეგები. წინა წლებთან შედარებით, შემცირებულია თანამშრომელთა რაოდენობა, ვინაიდან 2017 წელს გაერთიანებაში შედიოდა სამუსიკო და სამხატვრო სკოლები. რაც შეეხება ბიუჯეტს, 2017 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 934000 ლარს, საკუთარი შემოსავალი იყო მუსიკალური სკოლიდან, მაქსიმაური ხელფასი 1100, ხოლო მინიმალური 250 ლარს შეადგენდა. განსაკუთრებული მატება არ ყოფილა მომდევნო წელს. 2019 წლის ბიუჯეტი - 807500 ლარს შეადგენდა, 2020 წელს – 815000 ლარს, ხოლო 202021 წლის ბიუჯეტი შეადგენს 894000 ლარს. სხდომაზე აღინიშნა, რომ ძალიან დაბალია ხელფასები, განსაკუთრებით კი-მოცეკვავეების.

ფრაქციის წევრმა გოჩა ჯანაშიამ აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკებში ძალიან დაბალი ხელფასებია, იყო დაპირება, რომ იქნებოდა 30% მატება, მაგრამ არ განხორციელებულა. განსაკუთრებით გამოყო სოფ. ქვიანში არსებული ბიბლიოთეკა, რომლის შენობაც ავარიულ მდგომარეობაშია. ოთარ ცანავას თქმით, იგი საქმის კურსშია და ადგილზეც აქვს ნანახი შენობა, ძალიან ცუდ მდგომარეობაშია, თუმცა თუ მათ ბალანსზე არ იქნება, ვერ გააკეთებენ რემონტს. გოჩა ჯანაშია გამოვიდა ინიციატივით, რომ შეეცვალოს პროფილი და გახდეს საინფორმაციო ცენტრი, რითაც უფრო მოხდება ახალგაზრდების დაინტერესება.

ფრაქცია მხარდაჭერას უცხადებს აღნიშნულ ა(ა)იპ-ს და დაპირდნენ, რომ შემდეგი წლის ბიუჯეტზე მუშაობისას დააყენებენ ხელფასების მატების საკითხს.

2. დღის წესრიგის მეორე საკითხზე - ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ მიერ 2017-2021 წ.წ. გაწეული მუშაობის ანგარიში სხდომას წარუდგინა ცენტრის დირექტორმა- ნატო მენაღარიშვილმა.

ნატო მენაღარიშვილმა აღნიშნა, რომ იგი 2 წელია მუშაობს ხელმძღვანელ პოზიციაზე, სულ 21 თანამშრომელია, 18 შტატით და 6 შტატგარეშე. აქედან 2 სეზონურია, ვინაიდან შავი ზღვის პირა ზოლზე ახორციელებენ მალარიის საწინააღმდეგო სამუშაოებს. რაც შეეხება რეორგანიზაციას, მათ არ შეხებიათ. მისი თქმით წელს მოხდა 10% მატება, ბიუჯეტი შეადგენს 166400 ლარს, მინიმალური ხელფასი-300, საშუალო კი 400-500 ლარს, ხოლო ხელმძღვანელის ანაზღაურება შეადგენს 800 ლარს. ა(ა)იპ-ი ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტით, ასევე აქვთ პროგრამული დაფინანსება ზოგიერთ თანამშრომელს, ვინაიდან ეპიდემიის დროს უწევდათ განსაკუთრებულ რეჟიმში მუშაობა. პანდემია კლებისკენ მიდის, შესაბამისად კლებულობს პროგრამული დაფინანსებაც.

ნატო მენაღარიშვილმა ასევე აღნიშნა, რომ აქვთ ფართის პრობლემა, 2020 წელს მოხდა სველი წერტილის და ადაპტირებული ლაბორატორიის გაკეთება სტანდარტების მიხედვით იმ შენობაში, სადაც ამჟამად მუშაობენ, მაგრამ არიან ძიების პროცესში, რადგან სამსახურს უნდა ქონდეს ცალკე შენობა.

ჯუმბერ ბლაგიძე დაინტერესდა ტრანსპორტის საკითხით, როგორც მენაღარიშვილმა თქვა, ჰყავთ, მაგრამ ძალიან ამორტიზირებული.

ფრაქციის თავმჯდომარემ მაკა მშვიდობაძემ დააფიქსირა პატივისცემა აღნიშნული ა(ა)იპ-ისა და მისი ხელმძღვანელის მიმართ, რასაც ფრაქციის წევრებიც დაეთანხმნენ. ასევე აღუთქვეს დახმარება მომავალი წლის ბიუჯეტის მუშაობისას, ხელფასების მატების საკითხზე.

ვინაიდან სხვა საკითხები ფრაქციის წევრების მიერ არ დასმულა, ფრაქციის თავმჯდომარემ სხდომა დამთავრებულად გამოაცხადა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის

„ლანჩხუთი საქართველოსთვის“ სხდომაზე დეპუტატთა

დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

18.03. 2022 წელი

12:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	მაკა მშვიდობაძე	11:50 წთ.	
2	გოჩა ჯანაშია	11 55	
3	ჯუმბერ ბლაგიძე	11:50 წთ	